

ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის  
N28 ბინაზე, მოქალაქე აკაკი ბრეგაძისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაში მცხოვრები მოქალაქე აკაკი ბრეგაძის წარმომადგენლის რობერტი კაპანაძის განცხადება /2012 წლის 10.12 Nკ-10263/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N28 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე აკაკი ბრეგაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე აკაკი ბრეგაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N11 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე /საერთო ფართობი 60,00 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,00 კვ.მ./ მოქალაქე აკაკი ბრეგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგვიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე